დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 241 პარასკევი, 30 ოქტომბერი 1909 წ. № 241

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, [illegible] რა-უქმეების გარდა, დილის 9 [illegible] თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] დაუ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ზება. ინახება ერთის თვით [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

„დროების" კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. ● გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, „რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.

წარმოდგენა № 12. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 12.

კვირას, 1 ნოემბერს, 1909 წელს.

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ისტორიული პიესა ალ. ყაზბეგისა.

კონსტანტინე ბატონიშვილი

(წამება ქეთევან დედოფლისა)

დრამა 5 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ნ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი, იმედაშვილი-ხამძელი, ვ. მატარაძე, შ. საღაროვი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსად. „ქოჩრიანი ტოროლა", „გიორგი მესამე", „ლევან ბატონიშვილი".

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 1 ნოემბერს, აღსანიშნავად იმ გარემოებისა, რომ წელს შესრულდება 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც ა. ცაგარლის მიერ დაიწერა პიესა **„რაც გინახავს, ველარ ნახავ".**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი სექცია **ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით გამართავს **საიუბილეო** წარმოდგენას

წარმოდგენილი იქნება:

„რაც გინახავს, ველარ ნახავ"

კომ. 3 მოქმედებად ა: ცაგარლისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათ საღამოს, 12 ნოემბერს. მზადდება წარმოსადგენად; „ღალატი" სუმბათაშვილისა.

დაბეჯითებითა ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

(3—1) რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ბალარჯიშვილი ვ. დ. შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2½ ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

პაპოვი ბ. ა. ყურ,, ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2½ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

თიკანაძე ი. ე. დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ. მიკრ, ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ.—25)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ს. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ა. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშ., და შაბ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—193)

ექიმი-სპეციალისტი ქ. ქუთაისში **ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის მესახვავი, იესელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ—18)

ექიმი გ. მაგაკიანი. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—47)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის ჩაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბრონის ქუჩა, სახლი N 14. დემიდოვისა. (0—586—284)

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი არჩენს ხპეც. თირკმ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—36)

ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის ელექტრო - თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6 7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—46)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4. ხახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. [illegible], N 9. (უ)

ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—50)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.

მ. კიმონტი—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

ა. კალმიკოვა-ვნუკოვა— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეოლ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ხომრებისაგან. (100—ზალ.—48)

ქუთაისში

კბილის ექიმის **დ. ს. რჟეიშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—32)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (0—33—92)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოთით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ხუჩა, ბაკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—ნ.—95,

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მღზა ქიქოძის სახლი. (0—უ.—37)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—41)

ექიმმა ქუთაისში. ვოლოხმა

ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., ზოლოდ საღამოთი 5—7 ს. კვირაობით მიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კ.—17)

ს. სუმბათოვოში

16 ოქტომბერს გადაიწვა სახერხავი ქარხანა, რადგან ხმა გავრცელდა, ვითომც მეც ვიყო დამწვარ ქარხნის მონაწილე, ამისათვის ვაცხადებ: დაწესებულებათა, მუშტართა და საზოგადოების

საყურადღებოდ,

რომ მე ამა წლის 12 იანვრიდან ნოტარიუსის წესით ხსენებული ქარხანა გადავეცი სრულს მის პასუხის-მგებლობაში ჩემს ძმას ილარიონ ალექსანდრეს ძე საბახტარიშვილს, და მე არა ვალდებული არავითარ მის სავაჭრო საქმეში გავერიო ყოველ-გვარ ალებ-მიცემობის სრული პასუხის-მგებელია ის და მე მასთან შეწყვეტილი მაქვს ვაჭრული კავშირი.

გიორგი ალ. საბახტარიშვილი.

(2—520—1)

1909 წლის „ნაკადული" პრემია

„რას გვიამბობს ოთახი" ავენარიუსით, დაიბეჭდა და ამ მოკლე ხანში დარიგდება. ვინც სრულად არ წარმოადგენს ფულს, პრემიას არ მიიღებს. (3—2)

ტფილისი, 30 ოქტომბერი

რევოლუციის გობა და გაკიცხვა საზოგადო მოვლენად გადაიქცა ჩვენს ეგრედ წოდებულს ზომიერ მოღვაწეთა შორის. ეს მოვლენა თითქოს ბუნებრივ მოვლენადაც უნდა ჩაითვალოს, რადგან ზომიერი ადამიანი რის ზომიერია, თუ კი წინ არ აღუდგა სარევოლუციო მოძრაობას. მაგრამ, ნამდვილად, ჩვენში საქმე ასე არ არის. ზომიერ ელემენტების ფიზიონომია დღემდე გამოურკვეველი დარჩა. თუმცა „ძველი თაობის" მოღვაწეობა სამწერლო თუ საზოგადო ასპარეზზე ძლიდარ მასალას იძლეოდა ქართულ ნაციონალურ-ლიბერალურ და დემოკრატიულ მოძრაობის განვითარებისათვის, მაგრამ „ძველი თაობის" დროშის ქვეშ ვერ შეკვუფდა საზოგადოება, ერთის მხრივ, იმიტომ, რომ ახალი პარტიები გამოვიდნენ, რომელნიც უფრო მკაფიოდ და უფრო განსაზღვრულად იდგნენ დემოკრატიულ ნიადაგზე, მეორეს მხრივ კი იმიტომ, რომ „ძველი თაობის" ნაამაგარი და ნამოღვაწარი თვით მის მიმდევრების მიერ თითქოს დავიწყებული და განუვითარებელი დარჩა. ამიტომ არის, რომ ზომიერ ელემენტების მდგომარეობა თვით „მოძრაობამდე" გამოურკვეველი მდგომარეობა იყო და ამიტომ არის ისიც, რომ ზომიერნი მოძრაობის დროს მიეკედლნენ უკიდურეს პარტიების დროშებს. ეს მიკედლება ზომიერების უძლურების მაჩვენებელი იყო და „მოძრაობის" შემდეგ მათი ცდა და შრომა უნდა ყოფილიყო მიმართული თავიანთ ფიზიონომიის გამორკვევაზე, თანა მოაზრეთა შორის სოლიდარობის და სიმტკიცის გაძლიერებაზე და ზომიერ პოლიტიკურ პარტიის დაარსებაზე. ამ მხრივ რამდენიმედ სცდილობდა „ივერია", ხოლო მისი ცდა და მისი სურვილი ზომიერთა დროშის დამკვიდრებისა, ჯერ ხნობით უნაყოფოდ და უმნიშვნელოდ რჩება. და ეს ხდება განსაკუთრებით იმიტომ, რომ ზომიერთა მთავარი ძალა და ენერგია დიდებით შემოქმედების მუშაობაზე კი არ მიდის, არამედ რევოლიუციის და რევოლიუციონერების გაკიცხვაზე.

მაგალითისთვის შორს ნუ წავალთ. წაიკითხეთ იაკობ გოგებაშვილის წერილი „ზაკავკაზიე"-ში დაბეჭდილი (№ 213). პატივცემული პედაგოგი ეხება ქართულ ენის ცუდად დაყენების საკითხს ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში. წინად ამ გაკვეთილებს დილ-დილაობით აძლევდნენ მოწაფეებს, ეხლა-კი მეექვსე საათებია დანიშნული. მასწავლებელი შტატში ჩარიცხული არ არის და სხვა ამგვარი. საგანი საყურადღებოა. და ინტელიგენციაში დამყარებულ ჩვეულების მიხედვით ამ საგნის გარკვევა იაკობ გოგებაშვილმა რუსულ გაზეთში იკისრა, რათა რუსულის საშუალებით ცოტა რამ გააგებინოს და შეასმინოს იმათ, ვის ხელშიც არის ჩვენი სკოლების და განათლების საქმე. კეთილი. ოღონდ შეისმინონ, თუნდ ფრანგულად სწერეთ.

მაგრამ, საუბედუროდ, იაკობ გოგებაშვილი ფაქტის აღნიშვნას და პედაგოგიურ საბუთების წამოყენებას არა სჯერდება. იგი შედის პოლიტიკის სფერაშიაც და ახალ არგუმენტის მოსაპოებლად ქართულ ენის დასაცავად შოლტს რევოლიუციონერებისაკენ იქნევს. მთავრობა ანტინაციონალურ ნიადაგზე ზრდიდა ჩვენს ახალგაზრდობას, ამბობს ი. გოგებაშვილი, და შედეგი კი ის მოჰყვა, რომ „მოჰგლიჯა რა იგი (ახალგაზრდობა) საქართველოს, ამავე დროს რუსეთსაც მოაშორა და აღზარდა ინტერნაციონალური მიმდევრები მარქსისა და კროპოტკინისა და სხვა ამგვარი დამრღვეველნი თანამედროვე წყობილებისა. იმ ხანაში კი, როდესაც ქართულ ენას და ქართველ ნაციონალისტს კუთვნილი ადგილი ეჭირა ყველა სამოსწავლო დაწესებულებაში, ამ დაწესებულებიდან გამოდიოდნენ ქართველი მოსწავლენი წმინდა და მშვიდობიან პროგრესისტებად, რომელნიც ერთნაირად იყვნენ ერთგულნი როგორც თავიანთ სამშობლოსი, ისე სახელმწიფოსიო".

ამ ტირადას რომ ჩაუკვირდეთ, დაინახავთ, რომ პატივცემულ პედაგოგს რწმენა დაჰკარგვია იმაში, რომ მთავრობის დარწმუნება ჩვეულებრივის პედაგოგიურის მოსაზრებებით დღეს შესაძლებელი იყოს და ამ საწაულის მისაღწევად (მთავრობის დარწმუნება) მას საჭიროდ დაუნახავს დროის შესაფერ არგუმენტების ხმარება, იმგვარ ხასიათისა, რასაც, ცოტა არ იყოს, შავრაზმულ ყვავილის სუნი ასდის.

ყოველივე ეს ფრიად დამახასიათებელია. ზომიერების უპრინციპობის გამოაშკარავება ამაზე თვალსაჩინოდ აღარ შეიძლება. ზომიერნი, რომელნიც ამ რამდენიმე წლის წინად არც რევოლუციის წინააღმდეგნი იყვნენ, არც სოციალიზმს თაკილობდნენ, დღეს „წმინდა და მშვიდობიან პროგრესისტებზე" ლაპარაკობენ. და თურმე ეს წმინდა და მშვიდობიანი პროგრესისტები აღზრდილნი იყვნენ იმ დროს, როდესაც ჩვენს გიმნაზიებში ქართულ ენას და ქართველ ნაციონალისტს საპატიო ადგილი ეჭირათ და ეხლა კი, როდესაც ეს ენა განდევნილია, და ნაციონალისტი დათხოვნილი მარქსის და კროპოტკინის მეტი სასწავლებლებიდან სხვა არავინ გამოდისო.

ჯერ ერთი, როდის იყო ის ნეტარხსენებული ხანა (десятилѣтія), როდესაც ქართული ენა ისე იყო დაყენებული ჩვენს გიმნაზიებში, რომ ამ ენის სწავლებას მოსწავლის ზნეობრივ და პოლიტიკურ ფიზიონომიის შემუშავებისათვის ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა?! გარდა ამისა, ნუ თუ სამშობლო ენის გაკვეთილების ზედგავლენა ისეთი სასწაულთ მოქმედია, რომ ამ ენის საშუალებით შეიძლება ბრძოლა სოციალისტურ მოძღვრების წინააღმდეგაც-კი? რუსეთში ხომ ყველგან სამშობლო ენაზე იყო სწავლა-განათლება, სოციალიზმი კი ჩვენში რუსეთიდან გადმოვიდა.

დამაღონებელ შთაბეჭდილებას ახდენს ყოველივე ეს. რაც რომ საბუთები ჰქონდათ ჩვენს „ზომიერებს" მთავრობის შესასმენად, უკვე გამოალაგეს. აღარა დარჩათ-რა. ძველის განმეორება მოსაწყენია. და აი ახალ საბუთებს იშველიებენ, შემოღეთ ქართული ენის გაკვეთილები და ჩვენს გიმნაზიებში „წმინდა მშვიდობიანი პროგრესისტები" აღიზრდებიანო, ევედრებიან დღეს ისინი დროის შესაფერ კილოთი მთავრობას, ნეტარება თქვენ, რომ რწმენა არ დაგკარგვიათ, გჯერათ „შესმენისა" და ამ „შესმენის საქმისათვის" საეჭვო საშუალებასაც არ ერიდებით!..

სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

პირობითი დასჯა და შეკითხვა პროფესიონალურ კავშირების შესახებ.

28 ოქტომბერს, მეცხრე სხდომაზე, სათათბირომ დაამთავრა მუხლობრივ განხილვა პირობით დასჯის შესახებ პროექტისა. საინტერესო არა მომხდარა-რა, თუ არ ჩავთვლით სიტყვას მემარჯვენის მარკოვ მეორისას, რომელმაც, როგორც მემარჯვენეებს სჩვევიათ, უშვერის სიტყვებით დალანძღა ნაფიცი მსაჯულები და თვით სათათბირო. სხვათა შორის მარკოვმა სთქვა: იცოდეთ, რომ ვირების ღრიალი (სათათბიროში ხმაურობა იყო მარკოვის სიტყვების გამო) ვერ ჩააჩუმებს იმ კაცს, რომელიც ლაპარაკობს იმას, რასაც ფიქრობსო. მიუხედავად ასეთ სიტყვებისა, თავმჯდომარემ შენიშვნაც-კი არ მისცა მარკოვს.

ხსენებულ პროექტის მიღების შემდეგ სათათბირო შეუდგა განხილვას შეკითხვებისას პროფესიონალურ კავშირების შესახებ. შეკითხვა შეეხება იმ დევნას, რომელსაც განიცდიან ადმინისტრაციისაგან პროფესიონალური კავშირები. პირველად წაიკითხეს იუსტიციის მინისტრის პასუხი ამ შეკითხვის გამო. მინისტრი იწერებოდა, ვერავითარ განმარტებას ვერ მივცემ სათათბიროს, რადგან შეკითხვა არ ეხება სამინისტროს მოხელეების მოქმედებასო.

შემდეგ ილაპარაკა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა, ჟანდარმთა კორპუსის უფროსმა გენერალმა **კურლოვმა.** მან შეკითხვა უკანონოდ იცნო. თუ შეკითხვა, სთქვა მან, ისეთ კოლეგიალურ დაწესებულებებს შეეხება, როგორნიც არიან საგუბერნიო სამმართველოები, სამინისტრო პასუხს ვერ აგებს, რადგან ამათი მოქმედება ექვემდებარება სენატს და არა სამინისტროს. თუ საქმე კერძო ადმინისტრატიულ პირებს შეეხება, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს პირები ხალხს აპატიმრებდნენ, ასახლებდნენ და, საზოგადოდ, სჯიდნენ განსაკუთრებულ წესების ძალით და ამიტომ მათი მოქმედება უკანონოდ არ ჩაითვლებაო. ამ რიგად, ჟანდარმთა უფროსის აზრით, მთავრობა არაფერ შუაშია იმ დევნაში, რომელსაც პროფესიონალური კავშირები განიცდიან. გენერალი კურლოვი არსებითადაც შეეხო შეკითხვას და იქ ჩამოთვლილ ფაქტებს. ეს ფაქტები გაზვიადებულია განაცხადა მან. შეკითხვაში ნათქ

მია, ადმინისტრაცია სდევნის პროფესიონალურ კავშირებსაო. ეს შემცდარია. მთავრობა სდევნის პროფესიონალურ კავშირებს კი არა, არამედ კერძო პირებს, რომელნიც პროფესიონალურ კავშირებით სარგებლობენ თავიანთ მავნე მიზნების განსახორციელებლად. არეულობის დროს რევოლიუციონერები მუშებს ისე უყურებდნენ, როგორც ჯარს, რომელმაც უნდა დაამხოს მთავრობა. ეხლა ამ ხანამ განვლო, მაგრამ თვითონ რევოლიუციონური პარტიები აცხადებენ, რომ იმედი აქვთ ერთხელ კიდევ გაალაშქრებენ მუშათა მასსას მთავრობის წინააღმდეგ. რევოლიუციონურს პარტიებს, ს.-დემოკ.-ს და ს.-რევ.-ბს ერთმანეთში დიდი ქიშპობა აქვთ პროფესიონალურ ორგანიზაციებში ბატონობისათვის. ს.-დემოკრატიულ პარტიასთან დაარსდა განსაკუთრებული პროფესიონალური კომისია. ს.-დემოკრატების ცენტრალურმა კომიტეტმა განკარგულება მოახდინა, რომ ყველა წევრი სცდილობდეს, პროფესიონალურ კავშირებში ს.-დემოკრატები გაბატონონ. მე მაქვს საბუთები, საიდანაც სჩანს, რომ 36 პროფესიონალურ კავშირიდან 16 კავშირის გამგეობა მთლად ს.-დემოკრატებისაგან შესდგება, ხოლო 9 კავშირის გამგეობა—ს.-რევოლიუციონერებისაგან. ამათ ებრძვის სამინისტრო და არა პროფესიონალურ კავშირებსაო, სთქვა დასასრულ გენერალ კურლოვმა. მემარჯვენეებმა ჟანდარმების უფროსი, რაღა თქმა უნდა, ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

კურლოვის სიტყვის შემდეგ სათათბირომ ერთხმად დაადგინა, დაუყოვნებლივ განიხილოს მთავრობის წარმომადგენელის განმარტება.

პროტოპოპოვი (ოქტომბრისტი) შეეხო 1906 წელს 4 მარტის წესებს პროფესიონალურ კავშირების შესახებ და აღნიშნა, რომ მთავრობა არღვევს ამ წესებს. მთავრობის მოვალეობაა ებრძოლოს კერძო კაცების მავნე მოქმედებას და არა თვით პროფ. კავშირებს. ცენტრი მოსურნეა, მთავრობამ წინადადება მისცეს თავის აგენტებს პროვინციაში, დაიცვან 4 მარტის წესები.

პოკროვსკი მეორე (ს.-დ.) განაცხადა: ადმინისტრაციის მოქმედებაში პროფ. კავშირების შესახებ სრული თვითნებობაა გაბატონებული. მთავრობა მფარველობას უწევს მრიწვილთა ორგანიზაციებს და სდევნის მუშათა კავშირებს. სრული სიცრუეა მთავრობის წარმომადგენელის სიტყვები, ვითომ ს.-დ. პარტიასთან არსებობდეს ბიურო. ბურჟუაზიული მთავრობა მუშათა კლასის შეერთებაში ჰხედავს თავის შეურიგებელ მტერს და ამიტომ სდევნის კიდეც მას.

პეტროვმა (ტრუდოვიკი) სხვათა შორის აღნიშნა, რომ პროვინციალური აგენტები მთავრობისა თვითნებობენ და ცენტრალური მთავრობაც ხელს უმართავს მათ ამ გვარ მოქმედებაში.

შჩეპკინმა (კადეტი) სთქვა: პროფ. კავშირების შესახებ საკითხის გადაწყვეტას მოუთმენლად მოელიან უთვალავი მუშები. 4 მარტის წესები სრული არ არის, მაგრამ მთავრობა ამ უბრალო წესებსაც არღვევს და სდევნის კავშირებს. სათათბირომ უნდა უთხრას მთავრობას, რომ იგი პროპაგანდას კავშირებში მხოლოდ საბაბად იყენებს ამ კავშირების დასაკეტავად. სათათბირომ მხარი უნდა დაუჭიროს მუშებს.

ილაპარაკეს სხვა და სხვა ორატორებმაც. საკითხი არ გადაწყვეტილა და გადაიდვა.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 ოქტომბერი

კუნძული კრიტე

სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობამ კრიტეს მფარველ სახელმწიფოებს ნოტა დაუგზავნა. ოსმალეთის მთავრობა თავის ნოტაში ეხება კრიტეს ეხლანდელ მდგომარეობას და საჭიროდ სთვლის კრიტეს საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას. კრიტეს საკითხის გადაწყვეტის დროს მფარველმა სახელმწიფოებმა ოსმალეთის სამართლიან მოთხოვნებით უნდა ისარგებლონ. ოსმალეთის მთავრობა პროტესტს აცხადებს საბერძნეთის მთავრობის წინააღმდეგ. საბერძნეთის მთავრობა მიუხედავად იმისა, რომ ფული ძლიან ნაკლებად აქვს, მაინც სამხედრო ძალას აძლიერებს და ამას იმიტომ სჩადის, რომ შესაფერ დროს ოსმალეთს წინააღმდეგობა გაუწიოს. ნოტაში ამას გარდა სწერია: ოსმალეთი ვერ მოითმენს, რომ კრიტეს მართველობაში მესამე სახელმწიფო ჩაერიოს. კრიტეს ეხლანდელი მდგომარეობა საშიშოა და ამ შიშის თავიდან ასაცილებლად საჭიროა კრიტეზე შესაფერ მმართველობის დამყარება. შესაფერი მმართველობა კი კრიტეს ავტონომია იქნება, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ კრიტე ოსმალეთის მფარველობის ქვეშ უნდა დარჩესო. დასასრულ ოსმალეთის მთავრობა იმედოვნებს, რომ მფარველი სახელმწიფოები კეთილის თვალით შეჰხედავენ ოსმალეთის მთავრობის მოთხოვნებს.

პარიჟი. კლემანსომ „ტან“-ის კორესპონდენტს გადსცა, ტყუილია „ნეიე ფრეიე-პრესსე“ მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ მე საბერძნეთის მეფისთვის აღმეთქვას, საფრანგეთი მხარს დაგიჭერთ კრიტეს შეერთებაშიო.

საზღვარ-გარედ

ბერლინი. წელს შესრულდა 150 წელიწადია, რაც შილლერი დაიბადა. ამის გამო საღამოთი ყველა თეატრებში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენები. წარმოადგენენ შილლერის ნაწარმოებებს.

კასტროვილლარი (კალაბრია). პლანტაციის თემის მცხოვრებლებმა სათემო მართველობის წინააღმდეგ დემონსტრაცია მოახდინეს. დემონსტრანტებს და პოლიციას შეტაკება მოუვიდათ. დაიჭრა 4 პოლიციელი. პოლიციამ მოჰკლა 3 ქალი და ბევრი დემონსტრანტი. დააპატიმრეს აუარებელი ხალხი.

ბერლინი ადგილობრივ ლანდგერიხტში სამმა ახალგაზრდა კაცმა მოიპარა მოსამართლეების ქუდები და ჯაჭვები, დაიხურეს ქუდები და არხეინად წაიღეს სასამართლოს წიგნები, ბეჭდები და სხვა. მათ ისარგებლეს ბეჭდებით, გააკეთეს ყალბი დოკუმენტები და სხვა და სხვა მომჩივნებს 3000 მარკა გადახდევინეს. ბოროტ განმზრახველები დააპატიმრეს.

რუსეთი

პოლტავა. სოფელ სოკორენცში გაძარცვეს ეკლესია. მოკლულია ეკლესიის დარაჯი.

მოსკოვი. დამცველ პოლიციის აგენტებმა აღმოაჩინეს საიდუმლო სტამბა. 27 ოქტომბერს სალდათებს გაექცათ პოლიტიკური დამნაშავე. აგენტები ამ დამნაშავეს ეძებდნენ და შემთხვევით საიდუმლო სტამბას წააწყდნენ.

პეტერბურგი. მარინის თეატრში ოპერა „ტრისტენ და იზოლდას“ გენერალურ რეპეტიციის დროს არტისტმა ანდრეევ მეორემ შემთხვევით ხმლით მძიმედ დასჭრა არტისტი სმირნოვი.

მოსკოვი. პოდოლის სამაზრო ერობამ დახურა 10 სამკითხველო და დაადგინა, იმ ფულით, რომელიც სამკითხველოებს ხმარდებოდა მაზრაში ერთი აგრონომი მიიწვიოს.

გროდნო. ღამე ნურეცის ახლო ბოროტ-განმზრახველებმა გაძარცვეს 11 მგზავრი.

სმოლენსკი. სამოსამართლო პალატამ განიხილა 15 გლეხ-კაცის საქმე. ბრალდებოდათ საეროზო დარაჯებზე თავდასხმა და აგრარულ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება. სასამართლომ გადაუწყვიტა: 7 სხვა და სხვა ვადით გამასწორებელ რაზმები, 4 რვა-რვა თვით სატუსაღო და ოთხი გაამართლა.

ხოლერა

პეტერბურგი. დღე-ღამეში ავად გახდა 3, ავად არის 159 კაცი.

კრონშტატი. ავად გახდა 1 კაცი.

კურსკი. პირველ ოქტომბრიდან აქნამდის ავად გახდა 11, გარდაიცვალა 8 კაცი.

რიაზანი. ხოლერა მოისპო.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **საღამოს შემოსავალი.** ილია ჭავჭავაძის საღამოდან წ.-კ. საზოგადოებას დარჩა მხოლოდ 340 მან. მიზეზი ამისა დიდი ხარჯი იყო, რადგან თითქმის ყველა მონაწილემ ფული მიიღო.

◆ **კახეთის რკინის გზა.** ამ დღეებში ბელგიიდან ტფილისში ჩამოვლენ ბელგიელი ინჟენერები. ინჟენერებს აზრადა აქვთ, გაიცნონ კახეთის რკინის გზის პროექტი და გამოარკვიონ, რამდენად სარფაა ამ რკინის გზის გაყვანა. თუ ინჟენრებმა მოიწონეს გზის პროექტი, მაშინ ბელგიელ კაპიტალისტთა მინდობილობით ტფ. თავად-აზნაურობას წინადადებას მისცემენ, რომ ეს კაპიტალისტები გაანაღდებენ თავად-აზნაურობის სესხს. თავად აზნაურობამ თავის მხრით მოლაპარაკება გამართა იმ მემამულეებთანა რომელთა ადგილებზედაც რკინის გზის ლიანდაგმა უნდა გაიაროს. ბევრმა მემამულემ თანხმობა განაცხადა აქციები იყიდოს.

◆ **დაპატიმრება.** „რუსკ. სლოვო“-ს დონის-როსტოვიდან დეპეშით ატყობინებენ: 24 ოქტომბერს დააპატიმრეს სამი ქართველი: ბართლომე მეტრეველი და ავქსენტი და სერგო ქუთათელაძენი. მეტრეველს ჰბრალდება 8 სექტემბერს სადგურ ბორისოგლებსკში სხვებთან ერთად მატარებელზე თავდასხმა და ჩრდილოეთის ბანკის მეარტელის ერმილოვის გაძარცვა. ამ დღეს ერმილოვს 30,000 მანეთი წაართვეს. ძმებ ქუთათელაძეებს აღმოაჩნდათ 6,500 მანეთი, სულ ოცდა ხუთ მანეთიანები. ფული სისხლით არის მოსვრილი. გამოირკვა, რომ დაპატიმრებულები როსტოვში იარაღისთვის ჩამოსულან. მათ თავიანთი იარაღი ერთ ქართველისთვის მიუბარებიათ.. ამ ქართველის გვარი ვერ გაიგეს. სამივე დაპატიმრებული ქუთაისის გუბერნიიდან არის.

◆ **დაჯარიმება.** სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ტფ. გენერალ-გუბერნატორისა და ტფ. გუბერნატორის განკარგულებით დაჯარიმეს: ანტონ გაბარაშვილი—5 მან., სპარსეთის ქვეშევრდომნი ნიშან მანიკ-ოღლი და ხაჩო გაზაროღლი—ხუთ-ხუთი მან. და სარდაფის პატრონი ივანე ჩერემისინი—5 მან.

◆ **ხიდი საბურთალოზე.** საბურთალოს ხიდის საქმე წინ მიდის. ტფ. ქალაქის გამგეობა ერთ-ერთ დაბრკოლებად ხიდის განხორციელების საქმეში იმას ასახელებდა, რომ საბურთალოს მხრით ხიდისათვის ქალაქს ადგილი არა აქვს, ხოლო კერძო პირთაგან ადგილის შეძენას ბევრი ფული დასჭირდებაო. ეს დაბრკოლება თავიდან აცილებული იქმნა, რადგან ხიდს საბურთალოზე ადგილი დიუთმო თავ. ერისთავმა. საქმის ინიციატორთა მეცადინეობით ტფ. ქალაქის გამგეობამ დაავალა ინჟინერს, აიღოს გეგმა ხიდისათვის საჭირო ადგილებისა.

◆ **შამხოროვის სახელობის თანხა.** ტფ. ქალაქის გამგეობამ განიხილა მოხსენება შამხოროვის სახელობის თანხის შესახებ. გამოირკვა, რომ შამხოროვის სახელობის თანხიდან 83,300 მან. მოთავსებულია სარგებლიან ქაღალდებში 738 მან. 85 კაპ. საურთიერთო ბანკის მიმდინარე ანგარიშზეა, ხოლო 4621 მან. ქალაქის კასაშია შენახული. რადგან 4621 მან. უსარგებლოდ ძევს ქალაქის კასაში და ეს კი საზარალოა შამხოროვის სახელობის სტიპენდიებისათვის, გამგეობამ დაადგინა, ეს ფულიც ბანკში შეიტანოს.

◆ **დათხოვნა** „ზაკავ.“-ს სიტყვით, უსახელო საზოგადოების დირექტორს დაუთხოვნია 46 ვატმანი, 2 კონდუქტორი და 3 კონტროლიორი.

◆ **უპასპორტოები.** მერვე ნაწილში 28 ოქტომბერს ჩხრეკის დროს დაუპატიმრებიათ 23 უპასპორტო კაცი.

◆ **ნიხრი.** ტფ. ქალაქის საბჭოს ნიხრის დამწესებელმა კომისიამ დაადგინა, დარჩეს არსებული ნიხრი პურზე, მხოლოდ მახობელას პურზე დააწესა 3 კაპ. ქალაქის გამგეობამ მახობელაზე ნიხრის დაწესება შეაჩერა იმ დრომდე, ვიდრე გამორკვეული იქნება ის, თუ რამდენი ცხვება ტფილისში მახობელას პური და რამდენი სადღება.

◆ **რობაქიძის ლექცია.** გრ. რობაქიძე გუშინ წავიდა ქუთაისს, სადაც გაიმეორებს თავის ლექციებს მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ შესახებ. ლექციებს რობაქიძე წაიკითხავს ნოემბრის პირველ რიცხვებში.

◆ 27 ოქტომბერს ზაქათლის მცხოვრებს დურგალს მიტროფან კირსანოვს პოლიციისთვის განუცხადებია: 24 ოქტომბერს ჩემმა ცოლმა მარიამმა გაიტაცა ჩემი სახლიდან 59 მან., დგმურისაგან აიღო 9 მან. და მიიმალაო. პოლიციას დაუპატიმრებია მარიამი, მაგრამ მას უთქვამს, მე მხოლოდ 9 მან. ავიღე და საჭიროებაზე მოვიხმარეო.

◆ 28 ოქტომბერს მარიამ მაღალოვს განუცხადებია პოლიციისთვის, დაუკეტავ მისასვლელ კარებიდან მომპარეს ორი ქურქი, ღირებული 160 მან. პოლიციას ეჭვით დაუპატიმრებია იმ ქუჩის მეეზოვეები ვასილ მალი და იოსებ ბეჩკოვი.

—

შეცდომის გასწორება. გუშინ „დროება“-ში გრ. რობაქიძის „მცირე განმარტებაში“ შეცდომა შეპარულა: პირველ სვეტზე მე-27 სტრიქონში დაბეჭდილია: „მეგობრული ცოდნით“ უნდა იყოს „მეგობრული ტონით“.

ქუთაისი

◆ **შავი-ქვის მრეწველთა კრება.** დღეს, 30 ოქტომბრისთვის, ქალაქ ქუთაისში დანიშნულია ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მე-12 კრება. კრება ალბად რამდენსამე დღეს გასტანს.

◆ **„კოლხიდის“ კრება.** ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდის“ წლიური კრება, რომელიც დანიშნული იყო კვირას, 1 ნოემბერს, გადიდო 8 ნოემბრისთვის.

ოცნების მხარეს

დრამატიული პოემა.

(შემდეგი *)

სურათი მეორე

გამოერკვია მგოსანი, თვალი მოავლო ეღვარე
შეჰხედა ასულს, სტიროდა, თავს ედგა სევდით მწუხარე.

მგოსანი

რად სტირი, ჩემო სევდიავ,
რად დამაფრქვიე მღულარე?
ხმას რისთვის არ მცემ, რად მიმზერ
გულხელ დაკრეფით მდუმარე?
მომიახლოვდი, მიამბე,
მითხარი სიტყვა სალხენი;
მსურს სიხარულით გატკბობდეს
სიო საამო და ნელი.
ან შენ მოხუცო, რად სდუმხარ,
სახეს რად ჰფარავს ნაღველი?
დაღრეჯილობით თქვენითა
მყის შეწუხდება მნახველი.
იქმნებ მოგბეზრდათ მგზავრობა,
მანძილი მეტად გრძელია;
ვინც უკეთისთვის მიილტვის,
სავალი მისთვის ძნელია.
ყოველს გასაჭირს განიცდის,
სიკვდილი მისი მტერია;
გზაში იმედის წარწყმენდა
ვაი რა საშინელია.
ან იქმნებ ჰნაღვლობთ, დაჰშორდით
სულის შემხუთველს სოფელსა;
მოაკლდით ნაცნობთ, ნათესავთ
და თქვენს ერთგულსა მშობელსა.
არსსა საყვარელს, ძვირფასსა,
გრძნობასთან განუყოფელსა,
მითხარით, გამაგებინეთ,
გულს რა დარდი გაქვთ რომბლსა?!

ბერო

მოწამეა ყოვლად შემძლე,
არა ვნაღვლობთ დაშორებას;
ჩვენ სოფელი მიტომ დავგმეთ,
რომ მივდიოთ სულ სხვა მცნებას.
კეთილი რა მოგვაგონდეს,
რად ვიგლოვებთ დაობლებას;
იქ ყოველი ფლიდობს, მრუშობს,
გუნდრუკს უკმევს ბოროტებას!
წმინდა გრძნობა, სათნოება
სულს არავის უფრთოვანებს;
შვილი მამას, ძმა თავის დას
ბნელს ორმოში ულვთოდ აგდებს.
გზა დაჰკარგეს სიმართლისა,
ბრბო დაძრწის და ბრბო განგაშებს;
სული მისცეს ბელზებელსა,
თვის ნებაზედ ათამაშებს.
მოიწამლა, მოიშხამა
მთა და ბარად იქ ჰაერი.
წმინდა ტაძარს ანგრევს, მწიკვლავს,
გადაუდგა თვის თავს ერი.
გახრწნილების მორევს ჰხედავ,
შიგ დასცურავს ყმა და ბერი;
წაიშალა წმინდა აზრი,
ხმა არ ისმის ლმობიერი.
ჩვენ აწ მივდევთ სულ სხვა ვარსკვლავს,
მივესწრაფვით სულ სხვა კუნძულს;
ის ოცნების მხარე არის,
იქა ჰპოვებ შენ სიყვარულს.
მუდამ შენი ერთგულნი ვართ,
შენთან ვიყოფთ ჭირს, სიხარულს;
შვების ნიავს მოგვბერს ჩვენცა
და ვიხილავთ სხვა გაზაფხულს.
აბა, მითხარ, რად შევწუხდეთ,
რად წარვიკვეთოთ იმედს გულსა?
რად ვინატრებთ ჯოჯოხეთსა
ცოდვის ცეცხლით ანთებულსა.
წინ გავსწიოთ, ჩვენთან არის
ღმერთი ყოვლად შემძლებელი;
მხოლოდ, შვილო, თვით გამხნევდი,
გარდიფინტე სულს ნაღველი!

სევდია

შენთან ყოფნა ვის მოსწყინდეს,
გარდვიქცევი მე შენს ცქერად;
სადაც წახვალ, მეც თან მოგდევ
სიკვდილამდის განუყრელად.
შენი ლიმი სულსა მილხენს,
შენს ახლო ვარ მარად მცველად;
ცხარე ცრემლი შენს თვალთაგან
მკერდსა დამღის დასაწველად.
მოილხინე, მომალხინე,
ნანას გიმღერ ძილის პირსა;
ნუ შეიმჩნევ მწარე სახმილს,
გაუმაგრე გული ჭირსა.

გუნდი აჩრდილებისა

ვერ ამჩნევს ქალწულს მგოსანი
ნაზ სიყვარულით დადაგულს;
გრძნობა ცხოველსა, სპეტაკსა
და სათნოებით აღვსილს სულს,
უცხოს, მშვენიერს, მზისა დარს
სახე ნათელსა გაბადრულს:
იგი სხვას ეტრფის ოცნებით,
ეძებს სხვა გვარსა სიყვარულს!

მგოსანი

მზისავარ! ჩემო ერთგულო,
შენ რაღად მოგიწყენია?
წელან შენ ჩანგსა აღერდი,
ტკბილი ხმა მომისმენია!
დაუკარ, ორთავ დაჰმღერეთ,
ჰანგი რამ მოსალხენია;
ეგებ დრო მოვკლათ, ვივიწყოთ
წარსული ტანჯვა, სენია!

მზისავარ სანგსა აჟღერებს, დამღერის აღტაცებული,
მგოსანი ნაზად ყურს უგდებს, ფერმკრთალი, მისუსტებული
უცბად გრიგალმა დაჰბერა, დაიხშო ვარსკვლავთ კრებული.
ღელავს ზღვაზედ, ტალღა ჰქუხს, ღრიალებს გაშმაგებული.

ფერიები. (გალობენ).

ცა მრისხანებს,
თრთის, ზანზარებს,
ზღვა მქუხარებს,
ჰყეფს, ღრიალებს
მგრგვინავს ტალღებს
ნავს ახეთქებს,
მაგრამ ნავი,
მსწრაფლ მცურავი,
არა დრკება წინ მიჰქროლავს;
ან მიაღწევს გაღმა ნაპირს
ან დაჰღუპავს, ტალღა შთანთქავს!
მუდამ ბრძოლა და სიკვდილი,
ხან ცრემლი და ხან სიცილი;
ერთი მიდის, სხვა იშვება,
შფოთავს, კვნესის, მიწის შვილი.
დღე ნათელი ღამესა სდევს,
ხან ვეღარც ვჭვრეტთ განთიადსა
ვაი იმას, ვინც მიენდო
წუთისოფელს ცვალებადსა!

ბერი უფალს ევედრება, დოცულობს და შეჰღაღადებს:

ბერი.

ღმერთო, ღმერთო, გადმოგვხედე,
ნუ, ნუ მიგვცემ მგრგვინავ ტალღებს;
შენ განაგებ წყალსა, ხმელეთს
ცაში მნათობთ და ვარსკვლავებს.
ნუ დაგვმარხავ ზღვის უბსკრულში,
მიგვაბარე შავს საფლავებს!

მზისავარ.

რას უშველის სუსტ ქმნილებას,
ღვთის ლაღადი და ვედრება;
ბედი ჩვენი გარდაგვიწყვეტს,
მისი აღთქმი აღსრულდება.
უძლურია მის წინაშე
სურვილი და დიდი ნება.
როს სიკვდილი კლანჭს ჩაგვჭიდებს,
არ მოგვიდნოს,—არ იქმნება.

ბერი.

ნუ ჰგმობ, ნუ ჰგმობ, ჰე მზისავარ!
მოელოდდე ღვთისგან შველას
მისგან კეთილს ყველა ჰპოვებს,
სულსა მისცემს აღმფრენას!

ფერიები.

დაგეხმარებით,
გავფანტავთ ღრუბლებს;
ნავი გააპობს

*) იხ. „დროება“ N 238.

✦ **ბამბის მოსავალი.** როგორც გვატყობინებენ, წელს დასავლეთ საქართველოში ძლიერ ნაკლები მოსავალია ბამბისა. გამუდმებულ გვალვების გამო მინდვრები გაფუჭდა. ფასიც შედარებით ნაკლებია მაგ. ფუთი გარჩეული ბამბა აღდაშში და განჯაში ფასობს 14—16 მან., ქუთაისში და საჩინოში კი 10—11 მანეთად იყიდება. გაურჩეველი, (კურკიანი) ბამბა აღდაშში, და განჯაში ფასობს—4 მან. 40 კ. ქუთაისში ადგილობრივ-ჩარჩ-ვაჭრების მეოხეობით 3 და 3 მ. 50 კ. სხვა და სხვა მიზეზების გამო ამხ. „კოლხიდას“ ბამბის აპერაცია არ დაუწყია, ამიტომ ბამბის ვაჭრებმა იშოვნეს დრო და რაც უნდათ, იმას ჰჩადიან. შარშან, მაგალითად, ვაჭრებმა ბ. ბეგოვმა, გოკიელოვმა და გოლუმბმა შეჰკრეს პირი (პირობაც დაწერიეს ერთ ცნობილ ვექილს), რომ რაც შეიძლება ნაკლებ ფასებში იყიდონ ბამბა და თუ რომელიმე მათგან დაარღვევს პირობას და მეტს (2 მ, 40 კ.) მისცემს, იძულებულია 3000 ჯარიმა გადაიხადოსო. ამ პირობის შემდეგ ფასები მართლაც დაეცა. წელსაც აპირობენ, როგორც გადმოგვცეს, პირის შეკვრას.

მოწერილი ამბები

ხარკოვი. სახალხო განათლების მინისტრის შვარცის პროექტებსა და ცირკულიარებს, რაიცა ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში მრავლად ითხზება, როგორც მოგეხსენებათ, გამაუკუღმართებელი მიზანი აქვთ. მთელი ეს რეფორმები სწამლავენ და ხუთავენ სკოლის თავისუფალ ატმოსფერას. მინისტრობის პირველ დღიდანვე ბ. შვარცმა დაისახა მიზნად ძირიან-ფესვიანად აღმოეფხვრა სასწავლებლებიდან „არა სასურველი მოვლენანი“, შეებორკა და შეეხუთა თავისუფალი სული უნივერსიტეტისა და ის მცირე უფლებანიც კი, რომელიც აუწერელის შრომითა და ბრძოლით მოიპოვა სტუდენტობამ, მოესპო და გაექარწყლებინა. პირველად უთვალისა მისი ყურადღება უნივერსიტეტის ავტონომიამ მიიქცია, მას დაუწყო დევნა და შევიწროვება, რამაც შარშან მთელი რუსეთის სტუდენტების გაფიცვა და მოძრაობა გამოიწვია. ავტონომია ოფიციალურად არა აქვს წართმეული უნივერსიტეტებს, მაგრამ მინისტრი მოხერხებულად იქცევა და ნელ ნელა სთლის მას. წელს ქალები აღარ მიიღო უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელებად არც ერთ ფაკულტეტზე, და ვინც არიან, ძველი წინა წლებში ჩარიცხულები, მათ გათავების შემდეგ არავითარი უფლება არ მიეცემათ. საშინლად შეავიწროვეს ებრაელთა მიღებაც, შეამცირეს ის ნორმაც, რომლითაც იღებდნენ მათ და წელს მინიმუმდე დაიყვანეს. ამის მიზეზით აქ სამთსწავლო წლიწადში მთელ რუსეთს მრავალი ებრაელი დარჩა სასწავლებლის ცარეშე. ხარკოვის უნ—ში ბევრი ისეთი ვერ მოხვდა, რომელსაც გიმნაზია ოქროს მედლით ჰქონდათ გათავებული.

უველა ამ მაღლიდამ წამოსულ ისრებს ზედ მოჰყვა აგრეთვე ზოგიერთი შინაური, ადგილობრივი ცვლილებაც. მაგ. ოდესის უ—ის რექტორმა, მინისტრის მაგალითებით და „გულუხვობით“ გათამამებულმა, როგორც გაზეთებიდანაც შეიტყობდით, სტუდენტებისათვის განსაკუთრებული სავალდებულო გეგმა შეადგინა, რითაც უნდა იხელმძღვანელონ სტუდენტებმა. ამ საარაკო გეგმაში შედის სავალდებულო მუხლებად შემდეგი: სტუდენტი ვალდებულია გაუკეთოს „ჩესტი“ („მხთლად შეუძლიან სწორეთ არ გაიჭიმოს და ქუსლები არ შეართოს!“) შენიშვნა რექტორის მინისტრს, მის ამხანაგს, გენ.-გუბერნატორს, უნ—ის ადმინისტრაციას და თავის პირდაპირ უფროსებს (პროფესორებს): ტუჟურკა აუცილებლად ექვსივე ღილზე უნდა იყოს შეკრული; თეთრი ხელთათმანები და შავი საყელო აუცილებელია და სხვა.

თვით ხარკოვის ინ—ტში შედარებით სხვა უნივერსიტეტთან უფრო თავისუფლებაა. ეს აიხსნება იმით, რომ საუ—ტო ადმინისტრაცია და პროფესორთა საბჭო ლიბერალურ ელემენტისაგან შესდგება. ისეთს სასტიკს და სალდათურ წესებს მაინც ?ერ ადგენენ, როგორც ოდესის უნივერსიტეტში!

ქართველი მოსწავლე ხარკოვის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ორასამდე იქნება. ცხოვრება წლიდამ-წლამდე ძვირდება. საშინლად აიწია წელს ოთახის ფასმა. წინად თუ კაცი 8—9 მ. იშოვიდა რიგიან ოთახს, დღეს 15—16 მ. ნაკლებ აღარ იძლევიან ისეთს, რომ ცხოვრება შეიძლებოდეს. თითქმის მთელ ხარკოვში უმეტესად ებრაელები აქირავებენ ოთახებს და სარგებლობენ რა შემთხვევით, ფასს უოველ წლივ უმატებენ. ეს ქართვ. მოსწავლეთათვის უფრო საგრძნობელია: ან უნდა ქალაქ გარეთ გასვიდე და იქ დაჭირო ოთახი, ან არა მცირე ფასად იშოვნი პატარას, ბნელს და ნოტიო ოთახს, რაც შემდეგ ავადმყოფობასა და ათას გვარ სენს იწვევს. ზედ ერთვის თვით ქალაქის უსუფთაო და ჭაობიანი მდებარეობა, ცუდი სასმელი წყალი და ჰავა.

ამ მოკლე ხანში ადგილობრივ ქართ. სტუდ—ობა აპირობს ჩვეულებრივ ქართულ ეროვნულ საღამოს გამართვას. მუშაობას უკვე შეუდგნენ. განზრახული აქვთ მოიწვიონ ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილი.

8 ოქტომბერს უნივ. დიდი აუდიტორია მთლად გაივსო ქართველ სტუდენტებით. დაესწრო გარეშე საზოგადოებაც. ქართველი პროვიზორი, გვ რად პ. ი. ჭეიშვილი, იცავდა დისერტაციას ფარმაციის მაგისტრის ხარისხზე. დისერტაცია შემდეგ თემაზე: „Изученіе возстановляемости растворовъ Марганцево-каліевой соли въ присутствіи сѣрной кислоты и сѣрно-кислыхъ солей. დაესწრნენ სპეციალისტი პროფესორები, რომელთაც დისერტაცია დირსეულად ჩასთვალეს და პ. ჭეიშვილს მისცეს ხარისხი ფარმაციის მაგისტრისა. ჭეიშვილი ყოფილი ფარმაცევტია, შემდეგ მიუღია პროვიზორობა მუშაობდა წინად ხარკოვის უნ—ში; აქედან წასულა ჟენევაში, სადაც პროფ. დიუპარკის ლაბორატორიაში დაუწყვია მუშაობა, ორი წლის განმავლობაში პრაქტიკულად შეუსწავლია საგანი. შემდეგ დაბრუნებულა რა ჟენევიდან, ისევ ხარ. უნ—ში დაუწყვია მუშაობა პროფ. ჩირიკოვის ხელმძღვანელობით.

ყორანი.

ახალი შენობა ქართულ გიმნაზიისა

ათი წელიწადია შეუდგნენ ქართულ გიმნაზიის ახალ შენობის აგებას, მაგრამ იმის დამთავრებას არა ეშველა რა. ამ გაჭიანურების გამო შენობას ბევრად იმაზე მეტი ფული მოუნდა, რაც სხვა პირობებში მოუნდებოდა. თუ ამის შემდეგაც საქმეს არაფერი ეშველა, სარგებელში დიდ-ძალი ფული წავა.

ჩვენი მკითხველებისთვის ეჭვი არ არის, საინტერესოა ის, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ახალ შენობის დამთავრების საქმე. გამგე კომიტეტის მიერ გამოცემულ ანგარიშში დაწვრილებითი ცნობებია მოთავსებული.

ამა წლის პირველ იანვრამდე დახარჯულა:

ადგილის შეძენაზე .	21.002 მ. 15 კ.
თვით შენობაზე . .	631.753 „ 55 „
ვალების სარგებლების მოშორებაზე .	43.949 „ 45 „
სესხების ხარჯზე . .	991 „ 58 „
სათავად-აზნ. ბანკის გრძელ და მოკლე ვადიან სესხების სარგებლის მოშორებაზე . . .	39.187 „ 25 „
სათ.-აზ. ბანკ. თავნი ვალში	10.416 „ 22 „
გერბის ქაღალდში .	1.500 „ —
დაზღვევაში . . .	912 „ 95 „
დაშავებულ მუშებში	835 „ 55 „
გირავნობის ფურც. განადღ. დაიკარგა	76.915 „ —
სულ	827,463 „ 60 „

ეს ფული ნაშოვნია:

შემოწირულება . .	151.422 მ. 98 კ.
თავად-აზნაურთაგან.	100.979 „ 73 „
თავად-აზნაურთა ბანკიდან . . .	71.761 „ 03 „
საერთო თანხიდან. .	12.600 „ 39 „
მასალის გაყიდვიდან.	3.846 „ 20 „
სტიპენდიების ფონდებიდან	16.000 „ 00 „
სესხები ბანკში და კერძო პირთაგან .	472.908 „ 53 „
% % სახელდახელო ანგარიშებისა .	76 „ 80 „
სულ . . .	**829.595 „ 66 „**

ამა წლის პირველ იანვრისთვის შენობაზე ვალი იყო:

სათ.-აზნ. ბან. . . .	439.583 მ. 78 კ.
ამავე ბან. სავალდებულო გადასახ.	16.860 „ 42 „
სამეურნეო ბანკის .	63.926 „ 00 „
სასტიპენდიო ფონდ.	17.676 „ 61 „
აზოვო-დონის მუხრანსკის ვექს. .	3.500 „ 00 „
სულ . . .	**541.546 „ 21 „**

ამ რიგად, დღეს შენობაზე ვალად არის ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი.

გამგე კომიტეტი თავის მოხსენებაში სხვათა შორის, სწერს:

„ამ წელიწადს შესრულდა ათი წელიწადი, რაც გამგე კომიტეტი სკოლის შენობის საქმეს აწარმოებს განსაკუთრებულ კომისიის შემწეობით, რომლის თავმჯდომარეა ნ. ზ. ცხვედაძე და წევრნი არიან: ვ. ი. ყავრიშვილი და ს. გ. კლდიაშვილი. ამ ხნის განმავლობაში ბევრი დაბრკოლება შეგვხვდა წინ, ბევრი სიძნელე გამოვიარეთ, მაგრამ, როგორც იყო, სახლი დავამთავრეთ, თუმცა კი სრულიად არა...

„კომისიამ შენობა მოიყვანა იმ მდგომარეობაში, რომ წელს სკოლა უფრო კარგად იქნება მოთავსებული, ვიდრე წარსულ წლებში. მაგრამ მაინც შენობის შუა ნაწილი: ეკლესია, გიმნასტიური დარბაზი, საყოველთაო დარბაზიდა სასკოლო მუზეი დაუმთავრებელი დარჩა. ინსპექტორის სახლის და საავადმყოფოს აშენებას ხომ არც კი შევდგომივართ. აგრეთვე ელექტრონის განათების მოწყობაც არ დაგვიწყია. ამ საანგარიშო წელს სახლის შუა ნაწილს და ელექტრონის მოწყობასაც გავათავებდით, რომ ერთ მოულოდნელ გარემოებას ხელი არ შეეშალა. წარსულ წელს გამგე კომიტეტი სთხოვდა თავად-აზნ. კრებას, შემოღებულ წესისამებრ, ქართულ გიმნაზიის შესანახად, სადაც 830 ვაჟი და 60 ქალი სწავლობს, გადაედო 101 ათასი მან. ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით, მაგრამ თავად-აზნაურთა კრებამ შესაძლოდ დაინახა გადაეცა გამგე კომიტეტისათვის მხოლოდ 38 ათასი მან. და მოუჭრა 62,262 მან. შემდეგ ამ მოულოდნელ გარემოებისა, გამგე კომიტეტი იძულებული შეიქნა შენობისათვის ნასესხ ფულიდან ეხარჯა გიმნაზიის შენახვაზე; ასე დაიხარჯა 19,380 მან. 38 კ., აგრეთვე დახარჯა 21,320 მან. 45 კ., რომელიც დარჩა მამულის სკრის გაყიდვიდან, თუმცა საზოგადო კრების დადგენილებით ეს ფული უნდა მოხმარებოდა შენობას.

„ყველა ამას გარდა, სამი წელიწადია, რაც ჩვენი გიმნაზია დაბინავებულია ახალ შენობაში და ამ ხნის განმავლობაში არაფერი გადაუდვია გამგე კომიტეტს არც თითონ შენობისათვის, არც შენობის ვალის სარგებლის მოსაშორებლად უფულობისა გამო. რაც უნდა მცირე ვიანგარიშოთ, ათასი თუმანი ხომ დაჯდებოდა სახლის ქირა წელიწადში, თუ უწინდებურად სახლი ქირით გვჭეროდა და, მაშასადამე, სამი წლის განმავლობაში დავხარჯავდით ამ საგანზე 30,000 მ. აი ეს ფული რომ გადმოეცა თავად-აზნ. კრებას, ვითომ სახლის საქირავებლად, როგორც წარსულ წლებში იძლეოდა—მაშინ ეს ფული და ზემო დასახელებული ფული—სულ 70,677 მ. 18 კ. საკმაო იქნებოდა, რომ ეხლა დაუმთავრებელი სახლის შუა ნაწილი სრულიად დაგვემთავრებინა.

„ამ წელიწადსაც გამგე კომიტეტმა წარუდგინა თავად-აზნ. კრებას სკოლის ხარჯთ-აღრიცხვა და სთხოვდა გადაედო 87,173 მან. 25 კ. ქართულ გიმნაზიის შესანახად, მაგრამ თავად-აზნ. კრებამ ამ წელსაც შესაძლოდ დაინახა გადაედო გიმნაზიის შესანახად მარტო 60 ათასი მან. და მოუჭრა სკოლას 29 ათასი მ., თითქმის იმდენი, იმდენიც საჭირო იყო სკოლის სარგებლის შესატანად ბანკში. იმდენიც კი არ გადასდო ამ საჭიროებისათვის, რამდენსაც ხარჯავდა ყოველ წელს უწინ სკოლის სახლის ქირაში. ყველა ამ მოულოდნელ გარემოებას მოჰყვა შემდეგი: სახლი დაუმთავრებელი დაგვრჩა და დასამთავრებლად სახლის შუა ნაწილისა მაინც გვჭირდება 60,000 მან. და სახლის ვალის სარგებელი 31 ათასი მან. შესატანია ბანკში, და რომ არ შევიტანოთ, ბანკი სახლს გაგვიყიდის და ამოდენა ხარჯი, ამოდენა შრომა, ყველას შეწუხება ათი წლის განმავლობაში მუქთად ჩაგვივლის. ახლა რა განძს დავკარგავთ? ხომ ეს საშვილიშვილო საქმე, ეს ძვირფასი განძი არა მარტო მოზარდ თაობისათვის, არამედ მთელ ქართველ ხალხის კულტურულ განვითარებისათვის, მისი ვინაობისათვის გადავარჩინოთ ყოველ-გვარ ხიფათს და ამავე დროს დავამთავროთ, ჯერედ უნდა მივმართოთ ისევ თავად-აზნაურთა კრებას, ვაუწყოთ ყოველივე გარემოება და ვთხოვოთ, დაგვეხმაროს ამ საშვილი-შვილო საქმეში, რომელიც წმინდათა-წმინდაა ყველასათვის და მთელ საქართველოსათვის. თუ ვინიცობაა ამ გზით ვერაფერს გავხდით, მაშინ იძულებული ვიქნებით მივმართოთ იმ გზას, რომელიც ნაჩვენებია შენობის დაწყებიდანვე ჩვენი საზოგადო კრებისაგან: გავიმეტოთ და გავყიდოთ საზოგადოების უძრავი მამული ტფილისში, მდებარე განოვის და ველიამინოვის ქუჩაზე და ამით ავიცდინოთ თავიდან საყოველთაო ხიფათი.

„დასასრულ, გამგე კომიტეტი თავის მოვალეობად სთვლის აუწყოს საზოგადების წევრთ, რომ ამ წელს გათავა კნეინა ელისაბედ ნიკოლოზის ასულმა მუხრანსკისამ აზოვის ბანკიდან გამოსყიდვა ბ. ნ. ზ. ცხვედაძის ვექსილებისა, რომელთაც სკოლის შენობისათვის იყო გამოტანილი ფული განსვენებულს თავ. კონსტანტინე ივანეს ძის მუხრანსკის თავდებობით. წარსულ წლებში გამოისყიდა კნეინამ ვექსილები 35.200 მ, და ამ წელს 2,800 მან., ამ ფულიდან 3000 მ. სასტიპენდიო და დანარჩენი შენობისათვის. ამას გარდა 5000 მ. განსვენებულმა თავადმა კოსტანტინე ივანეს ძემ სიცოცხლეშივე გადმოსცა გამგე კომიტეტს, სულ შემოწირულება 43,000 მ. იშვიათი შემოწირულებაა ჩვენში და ჩვენც მოვალენი ვართ ეს რითიმე აღვნიშნოთ შთამომავლობისათვის შემომწირველის სახსოვრად. ამ წელს გაჭირვების დროს, როგორც წარსულ წლებში, ხელს გვიმართავდნენ საპატიო წევრნი დავით სარაჯიშვილი და ა. გ. მდივანი. ამათ იმის გარდა, რაც წინად შემოსწირეს, ამ წელს გამოგვიგზავნეს შენობისათვის, პირველმა—600 მან., ხოლო მეორემ 300 მ.“.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. პოლ ერვიეს „ბრჭყალები“ რომელიც ქუთათურმა დასმა წარმოადგინა კვირას, 25 ოქტომბერს, სწორედ ის ბრჭყალებია, რომლითაც ასეა შებოჭილი ცოლ-ქმართა უმრავლესობა კანონიერის ქორწინებით.

ავტორი ეხება იმ ცუდს და უსამართლო მხარეებს, რომელიც თავს იჩენს ხოლმე მაშინ, როდესაც ცოლქმრობის გაშორება აუცილებელია, და ძალა - უფლება —კანონიერებაზე მიდგება საქმე. პიესა აუვილი დისაძლევია. ყველა თავის ალაგას იყო ბ-ნ ბახველის გარდა. მიხეილის სულს მან სრულიად ვერ დასძლია.

დრამის შემდეგ ნათამაშევმა 1 მოქ. ვოდევილმა „სირცხვილია“ მხიარულად ჩაიარა და ბევრიც აცინა დამსწრენი.

ილიას საღამო ქუთაისში. სამშაბათს 27 ოქტომბერს, ილია ჭავჭავაძის დაბადების წლის თავზე, ქ. შ. წ. კ. გ. ს. ადგილობრივმა განყოფილებამ გამართა ილიას საღამო. საღამო მდიდარ შინაარსისა გამოდგა და მშვენივრადაც ჩაატარეს. საზოგადოება დიდძალი დაესწრო და სრული კმაყოფილი დარჩა.

ფარდის ახდისას, ბ-ნმა კიტა აბაშიძემ მგოსნის ქანდაკებას, დასთა და მგალობელთა გუნდით გარშემორტყმულს, მგრძნობიარე სიტყვით მიმართა, რამაც მხურვალე ტაში გამოიწვია.

საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს ბ-ნ შარაბიძის მშვენიერმა ქართულმა ხორომ, ბ-ნმა აკოფაშვილმა, ქ-ნ ან. შარაბიძისამ, გალ. თუთბერიძემ და სკრიპკის დამკვრელმა ბ-ნმა პეკერმა. ყველანი საზოგადოებამ მხურვალედ მიიღო. აღვნიშნავთ ბ. გ. თუთბერიძის საამურ და ტკბილ ტენორს.

მკაფიოდ და გრძნობით წაიკითხეს ლექსები ქ-ნმა ნ. ჩხეიძემ და ბ-ნმა ნ. ერისთავმა. [illegible] ნით მათ [illegible] სხვა და სხვა ლექსები [illegible] იყო [illegible] პატარა პიესა მგოსნისა: „დედა და შვილი“ და დიმიტრი თავდადებული. კარგი იყო ეს სცენებიც, მაგრამ ჯანცილებით უკეთესი იქნებოდა ერთ გარემოებისთვის რომ გაეწიათ ანგარიში. მე მოგახსენებთ როლების შეცვლაზე, როდესაც ვაჟის როლს ქალი ასრულებს ხოლმე. დედა-შვილში საუცხოვო იყო ქ-ნი ნ. ჩხეიძე პირველის როლში, კარგი იყო დავითაშვილისა—მეორეს როლში, მაგრამ რას იზამთ, რომ მაინც მოსალოდნელი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა! ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ქ-ნ დავითაშვილს ვუსაყვედუროთ, მაგრამ რა საჭირო იყო ქალის გამოყვანა „შვილის“ როლში, მაშინ როდესაც დასში არიან ბ-ნნი ყალაბეგიშვილი ან მურუსიძე რომელთაც არ გაუჭირდებოდათ ეს როლი ბუნებრივის სივაჟკაცით შეესრულებინათ. მაყურებლის თვალ წინ უდგა ქალი ვაჟის სახით. ესმოდა მისი სუსტი ქალური ხმა და უსიამოვნო შთაბეჭდილებისათვის თავი ვერ დაუხწევია, და მარგალიტებივით სიტყვები ცივადა ხვდება იმის გულს.

დასი თან და თან სუსტდება. ავადმყოფი კიდევ ერთი მიემატათ: ქ-ნი რონელისა გახდა ავად, სოხუმიდან გამოიწვიეს ბ-ნი დ. ჩარკვიანი.

შაბათს სახალხო წარმოდგენაა. ითამაშებენ „სამშობლოს“.

ჯაფარ-ფაშა.

სასამართლო

მეტეხის ზედამხედველის საქმე.

მეტეხის ციხის უფროსის განკარგულებით, უფროსი ზედამხედველი ს. გორნალევი მორიგ მეკარის თანადასწრებით, ყოველ დღე სჩხრეკავს ზედამხედველებს, როდესაც ისინი ბრუნდებიან სახლიდან სამსახურში. 1909 წელს 28 აპრილს, საღამოს 11 საათზე, სახლიდან ციხეში მისულა ზედამხედველი ანტონ სმისლოვი. როდესაც დაუწყვიათ მისი ჩხრეკა, შეუმჩნევიათ, რომ პალტოს სახელოში ქაღალდი უშრიალებდა. გორნალევს უფრო მუყაითად დაუწყვია ჩხრეკა და აღმოუჩენია პერანგის სახელოში ორი წერილი და ორი ხუთ-ხუთ მანეთიანი. ეს წერილები ყოფილა ტუსაღის მამადი-ნაგი გასან-ოღლის სადიკოვის სახელზე.

გამოძიების დროს სადიკოვის ჩვენებით გამორკვეულა, რომ ის კამერა, რომელშიაც სხვებთან ერთად მჯდარა სადიკოვი, ჩაბარებული ჰქონია მოსავლელად ზედ. სმისლოვს. სმისლოვს წინადადება მიუცია სადიკოვისთვის, რაზედაც დაგჭირდებით, მიმსახურეო. სადიკოვსაც უსარგებლნია შემთხვევით და მიუწერია წერილი თავის ნაცნობის გაჯი რაჯიბ ალი-ოღლისათვის და ამასთან ისიც დაუმატებია, რომ ამ წერილის მომტანს ორი მანეთი მიეცი ჯილდოთაო. უთხოვია სმისლოვისათვის ამ წერილის დანიშნულებისამებრ გადაცემა, რაც შეუსრულებია და ჯილდოც აუღია.

სამი დღის შემდეგ სმისლინს მიუტანია ორი წერილი: ერთი—მამედ აღა-ალაკპეროვისაგან, მეორე—გაჯი რაჯაბ ალიოღლისაგან. როგორც ზემოდ იყო ნათქვამი ამ წერილებს ვერ მიუხწევია სადიკოვამდე და ერთი თუმანი კი სადიკოვისგან ჰქონია წაღებული სმისლინს დასახურდავებლად.

ზედ. ანტონ სმისლინი გამოძიების დროს გამოტეხილა და უთქვამს, სადიკოვის თხოვნით წავიღე წერილები და იქიდანაც მოვიტანე, ის, რომლებიც დამიჭირეს და გასამრჯელოდ მივიღე ოთხი მანეთიო.

ამის გამო უმცროსი ზედამხედველი ციხისა ანტონ სმისლინი პასუხის გებაში მიუციათ. ეს საქმე ტფ. ოლქის სასამართლომ 29 ოქტომბერს განიხილა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებული ან. სმისლინი და მიუსაჯა ყოველივე უფლების ჩამორთმევა და ერთი წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

მკვლელობა.

ამავე დღეს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე. ალექსანდრე მანუკიანცისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ევა კანდელაკის მოკვლა.

საქმე ასე ყოფილა: ალ. მანუკიანცს კავშირი ჰქონია ქმრიან ქალთან, ევა კანდელაკთან, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მანუკიანცი სხვა ქალზე დანიშნულა. ევა ამის გაგებაზე შეხვედრის დროს ძალიან ლანძღავდა თურმე მანუკიანცს. ერთხელ მელიქოვის ბინაზე შეხვედრიან ერთმანეთს, ევას წინადადება მიუცია მანუკიანცისთვის სამოქალაქო ქორწილით ცხოვრებაზე, მაგრამ უარი მიუღია. ორი დღის შემდეგ კიდევ შეხვედრიან, ერთმანეთს მელიქოვის ოჯახში. სადილის შემდეგ ლაპარაკი მოსვლიათ. ევას ნემსით დაუწყვია ჩხვლეტა, ხოლო მანუკიანცს დანით დაუჭრია კანდელაკი, რომელიც იქვე გარდაცვლილა.

მქუხარე ზვირთებს!..
მოდით, კეთილნო,
მწედ ვექმნეთ მგოსანს:
დე მიაღწიოს
თვის წმინდა მიზანს!

ბოროტი სულნი.

დავანგრევთ...
დავამსხვრევთ...
არ მივცემთ გასავალს
დავკარგავთ,
შევბორკავთ
დავუხშობთ გზა-სავალს!

ფ ე რ ი ე ბ ი.

სინათლე იმარჯვებს,
გრიგალიც ჩადგება!
იხილავთ სხვა მხარეს,
წყვდიადი ქარწყლდება!..

კეთილი სულები.

შავი, პირქუში ღრუბელი
დასავალს ამოეფარა;
გრიგალი ჩადგა, მიყუჩდა
აღარა ჰპერავს, აღარა
ნიავმაც აღმოსავლეთით
აწ განთიადი გვახარა!

ნისლის ნაგლეჯნი დაჭრიან,
ილევა ბინდი, თენდება;
სიცოცხლე ებრძვის სიკვდილსა,
ცის კიდე წითლად ენთება.
სხივი ნატყორცნი ისრადა
ამაყს ნავს ეთამაშება.
მზეც ამობრწყინდა სივრცეში,
ნაზად ზღვას ეალერსება.
დიდება ჩვენს მეფეს!
დიდება შემძლებელს
დიდება მზის სხივებს!

(ბოროტი სულები და ქაჯები ჰქრებიან)

ყ ვ ე ლ ა ნ ი:

(აღტაცებით)

ვიშ! რასა ვხედავთ, რა არის?
ტურფად რა მოჩანს შემკული?
ოცნების მხარე აღთქმული!
თვალს გადგვეშალა კუნძული!
აი, სამოთხე ეს არის,
მრავალ ფრად აყვავებული;
ნუ თუ აქ ჰპოვებს სიამეს
სული და გული ვნებული.

ნაპირს მოადგნენ მეჯგრები, მწვანით მრავალფრად მოქარგულს,
შვების ნიავმა მოჰბერა სულსა, შავს ბედით დაჩაგრულს.
ღმერთსა მადლობას სწირავდნენ საიდუმლოსა, დაფარულს,
მგოსანი მოსულიერდა, არ აქვს საზღვარი სიხარულს.

მ გ ო ს ა ნ ი.

მზისავარ ჩემო! შენ წახვალ,
მოივლი უცხო მხარესა;
კოშკს ჰპოვებ ტურფად ანაგებს,
ალმასებრ მოელვარესა;
იქ ჰნახავ ჩემსა სიყვარულს,
გაბადრულს, ვითა მთვარესა:
მოუთხრობ, ეტყვი ყველაფერს
ჩემსა ამბავსა მწარესა!

მე დავუძლურდი, არ ძალმიძს,
შორი მანძილი გავლიო;
მთასა ვერ ავვალ მაღალსა,
ვაი, თუ სული დავლიო.
მე აქ დაგიცდი ნაპირზე,
თვალსა ცრემლ შეუშრობელი;
უთხარი, წყლულ ვარ, მსურს ნახვა,
მოუთმენლად მოველი!

ა. შანშიაშვილი.

(შემდეგი იქნება)

სასამართლოში მანუკიანცი გამოტყდა. სასამართლომ ალ. მანუკიანც მიუსაჯა სამი წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

წიგნის მაღაზიის პატრონის საქმე. დღეს, 30 ოქტომბერს, ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე წიგნის მაღაზიის (ქუთაისში) „კოლხიდის“ პატრონის ის. კვიცარიძისა, რომელსაც ჰბრალდება არა ლეგალურ გამოცემათა ხალხში გავრცელება. ბრალდებულს იცავს ვექილი საყვარელიძე.

რუსეთი

✦ **გერცენშტეინის მოკვლის საქმე.** პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, მთავრობამ გადასწყვიტა გერცენშტეინის მოკვლის საქმე რუსეთის სასამართლოს გადასცეს განსახილველად, რადგან ფინლიანდიის სასამართლომ უკანონო განაჩენი გამოიტანაო.

✦ **ქალი—ნაფიცი-ვექილი.** პეტერბურგის სამოსამართლო ოლქის ნაფიცვექილთა საბჭოს ნაფიც-ვექილის თანაშემწედ [მიუღია ქ-ნი ფლეიშიცი. ქ-ნი ფლეიშიცი დაიბადა 1888 წელს. მამა მისი კერძო ვექილი იყო. კრემენჩუგის ქალთა გიმნაზიის გათავების შემდეგ ფლეიშიცი პარიზის უნივერსიტეტში შევიდა, სადაც გაათავა იურიდიული ფაკულტეტი. ამ წელს ხელმწიფე-იმპერატორის ნებართვით ქ-ნმა ფლეიშიცმა პეტერბურგის უნივერსიტეტში მშვენივრად ჩააბარა სახელმწიფო ეგზამენი. ამ ჟამად ქ-ნი ფლეიშიცი მუშაობს პეტერბურგის უნივერსიტეტში, პროფესსორ პერგამენტის კაბინეტში. ფლეიშიცი სამეცნიერო თხზულებას სწერს

✦ **მცხოვრებთა რაოდენობა პეტერბურგში.** უკანასკნელ დროის სტატისტიკურ ცნობებით პეტერბურგში ამ ჟამად 1,854,500 სული ყოფილა.

✦ **ყალბი ატესტატები.** ამ დღეებში კიევში პოლიციამ აღმოაჩინა საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც სხვა და სხვა პირებს კბილის ექიმობის ყალბ ატესტატებს აძლევდა. ამ ორგანიზაციას რამდენიმე ას კაცისათვის მიუცია ასეთი ყალბი ატესტატები და კარგა ბლომა ფულიც აუღია. პოლიციას ამ საქმის გამო დაუპატიმრებია ერთი ექიმი, კბილის ორი ექიმი და 4 მოხელე.

✦ **თავის მოწამვლა რედაქციაში.** „რუსკ. სლოვო“-ს სარატოვიდან დეპეშით ატყობინებენ: ადგილობრივ გაზეთ „სარატოვსკი ვესტნიკის“ რედაქციაში თავი მოიწამლეს გაზეთის რედაქტორმა ლოპუხოვსკიმ და გაზეთის თანამშრომელმა—ქალმა სიჩევამ.

✦ **ინჟენერი გილევიჩი.** ამ ორი-სამი კვირის წინედ პეტერბურგში, ლეშტუკოვის შესახვევში, მომხდარმა მკვლელობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სატახტო ქალაქის გაზეთებსა და მცხოვრებლებში. როგორც მკითხველსაც მოეხსენება, უცნობი ინჟენერმა გილევიჩმა მოჰკლა, რომ დამზღვევ საზოგადოებიდან 100,000 მანეთი გამოეტანა. „ნოვაია რუსი“-ს სიტყვით, პეტერბურგის მაძებარ პოლიციის უფროსს სტამბოლიდან დეპეშა მიუღია, ინჟენერი გილევიჩი ამ ჟამად სტამბოლშიაო.

✦ **სახელმწიფო სათათბიროში.** სახელმწიფო სათათბიროს კომისიას, რომელიც განქორწინების საკითხს იხილავს, პროვინციიდან ათასნაირი თხოვნები მოსდის, გვიშველეთ რამე და გაგვყარეთო. სხვათა შორის კომისიას ერთ პოლკოვნიკისგან მოსვლია თხოვნა, ჩემი ცოლი ეს 26 წელიწადი „მტანჯავს, სული ამომართვა, აღარ ვიცი რა ვქნაო და თუ შეიძლება გამყარეთო.

✦ **გენერალი ტოლმაჩევი.** ოდესის გრადონაჩალნიკ ტოლმაჩევს ებრაელებს რაბინებისთვის უბრძანებია, თორებზე ილიუმინაციის დროს ხელმწიფის გვირგვინებს უსათუოდ ჯვრები უნდა ეკეთოთ. რაბინებს გრადონაჩალნიკისთვის მოუხსენებიათ, ეს ჩვენი რჯულის წინააღმდეგიაო, მაგრამ ტოლმაჩევს უთქვამს, თუ უკანონოდ სცნობთ ჩემ განკარგულებას, სენატში განასაჩივრეთო, მანამდის კი უნდა აასრულოთ ჩემი ბრძანება, წინააღმდეგ შემთხვევაში თორებს დავკეტამო.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ვარშავაში 7, ხარკოვში 4, პეტერბურგში 1, სევასტოპოლში 2, უფაში 1, ტომსკში 2, რიგაში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ხარკოვში 2, სიზრანში 1, სარატოვში 1, იურიევში 2, ვარშავაში 2 კაცი.

✦ **არეულობა სემინარიაში.** „რეჩ“-ს ჟიტომირიდან დეპეშით ატყობინებენ: ეს ორი დღეა, რაც ადგილობრივ სემინარიაში არეულობაა. მოწაფეებმა ჩაამტვრიეს რექტორის, ინსპექტორის და ზედამხედველების ოჯახების ფანჯრები, დაამტვრიეს ლამპები, სადილო ოთახებიდან კრავოტები გადმოყარეს და სხვა. არეულობის მიზეზი ის არის, რომ სემინარიაში რექტორის და ინსპექტორის მეჯარვლობით დაარსდა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ განყოფილება, ვინც განყოფილებაში არ ეწერებოდ, ალმაცერად უყურებდნენ და ამას გარდა მოწაფეებში ჯაშუშობა გავრცელდა. მოწაფეებმა მოითხოვეს განყოფილების გაუქმება.

✦ **ოპოზიციის შეთანხმება.** „ბაკუ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: კადეტები, მაჰმადიანთა ფრაქცია, შრომის ჯგუფი, პოლონელთა კოლო და პროგრესისტები შეთანხმებიან სათათბიროს თავმჯდომარეს ამხანაგად ეფრემოვი (მირნოობნოვლენცი) გავიყვანოთო.

✦ **ფინლანდიის საქმეები.** „რეჩი“-ს სიტყვით, მთავრობა ამ ჟამად ადგენს სიას იმ საქმეებისას, რომლების განხილვა უნდა ჩამოერთვას ფინლანდიის სეიმს და სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს გადაეცეს. საერთო საქმეების სათათბიროში და საბჭოში განხილვის დროს ფინლანდიის დეპუტატებიც დაესწრებიან, სათათბიროში ხუთი, საბჭოში ოთხი დეპუტატი.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: პეტერბურგში 1, ტომსკში 2, უფაში 1, ოდესაში 1, სარატოვში 1, ვარშავაში 3 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ხარკოვში 2, ვარშავაში 3, ოდესაში 1 კაცი.

უცხოეთი

ვატიკანი და ბრიანის სიტყვა.

იტალიის კლერიკალური პრესა ძალზე აღშფოთებულია ბრიანის სიტყვით. გაზეთი „Osservatore Romano“ ცხარე მოწოდებით მიმართავს საფრანგეთის სამღვდელოებასა და კათოლიკებს: „მამანო და მორწმუნე კათოლიკენო, პირველ უფლისა მოითხოვეთ თავისუფლება სწავლებისა. საფრანგეთიდან იტალიამდე ყველამ იცის, რომ საფრანგეთის კათოლიკების მოვალეობაა დაიცვან ეკლესია. საფრანგეთის მთავრობას უნდა კათოლიციზმი კანონს გარედ გამოაცხადოს. ბრიანი ვითომ დამშვიდებაზე ლაპარაკობს, ნამდვილად კი იმის სიტყვებიდან გაისმის მოწოდება ბრძოლის დაწყებისა კათოლიკეთა წინააღმდეგ“.

საფრანგეთის სოციალისტების უკმაყოფილება.

საფრანგეთის სოციალისტურ წლიურ კრებაზე უკმაყოფილებამ იჩინა თავი. საკითხი იყო დასმული ბრიანის სამინისტროს შესახებ. ჟორესი, გრუსიე და დიუბუა ურჩევდნენ კრებას ზომიერი რეზოლიუცია მიეღოთ ბრიანის სამინისტროზე. უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ამ ფორმულისა და თხოულობდა უკმაყოფილება გამოეცხადებინათ ბრიანისათვის. უთანხმოება იმდენად ღრმა იყო, რომ ორივე მოპირდაპირეთა შეთანხმებას შეუძლებადა სთვლიან. რადიკალურ წრეებში ფიქრობენ, რომ სოციალისტები თუ ოფის გამოუცხადებენ ბრიანს, მინისტრი წაგებაში არ იქნება, სოციალისტების ბრძოლა ბრიანის მდგომარეობას ვერ შეარყევსო. გედისტ რევოლიუციონერებს ამ ბოლო დროს ნაკლები მიმდევრები ჰყავთ. ჟორესის ზომიერ მიმართულებას უფრო მეტი მომხრეები ჰყავს.

რუსეთ-იაპონიის დამოკიდებულება.

გაზეთი „Temps“-ი მეთაურ წერილში ეხება ვლადივოსტოკის საკითხს და ამბობს, რომ იტოს მოკვლით შეწყდა რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკება შესახებ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის დათმობისა იაპონიისათვის. საკითხი მალე გადაწყდება, ან კოკოვცევი წავა ტოკიოში, ან იაპონიის წარმომადგენელი წავა ხარბინში.

დღევანდელი მდგომარეობა ხარბინის ახლომახლო ადგილებში სავსებით არ შეეფერება საერთაშორისო უფლების მოთხოვნილებასაო. ტერიტორიალურ უპირატესობათა საკითხმა დაუმილერის ცნობილი ინციდენტი გამოიწვია. გაზეთის აზრით, რუსეთისათვის საუკეთესო პოლიტიკა ის იქნება, რომ უარი სთქვას ისეთ სარგებლობაზე, რომელიც პრაქტიკულად ძნელი მოსაპოვებელია. ფინანსიური მხრითაც რომ შევხედოთ საკითხს, რუსეთს დიდი სარგებლობა არა აქვს, რაკი პორტ-არტური იაპონელების ხელში გადავიდა აღმოსავლეთ ჩინეთის გზამ თავის კომერციული მნიშვნელობა დაჰკარგა რუსეთისათვის. პორტ-არტურიდან მუკდენამდე რკინის გზა იაპონელებს გადაეცა, კომერციული სარგებლობაც იაპონელების ხელში გადავიდა. იაპონია სცდილობს კიდეც მანჯურიის ყველა გზების მონოპოლია ხელში ჩაიგდოს. რაც შეიძლება მეტი რკინის გზის მახრილი იყოს იმის სარგებლობის ქვეშ. საკითხი უეჭველად გართულდება იმ მოსაზრებით, რომ რუსეთი სცდილობს ვლადივოსტოკი ახალი გზით შეუერთოს სახელმწიფოს, დაასახლოს შორეული აღმოსავლეთი რუსებით და ვაჭრობა თავის ხელში შეინარჩუნოს. ვლადივოსტოკს უნდა გაემაგრებინა და გაემტკიცებინა რუსეთის მფლობელობა აღმოსავლეთში და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ის მხოლოდ საზღვაო გზით იყო შეერთებული რუსეთთან. ვლადივოსტოკის ბედიღბალი ძალიან აინტერესებს რუსეთსაც და იაპონიასაც: ამ საკითხის შესახებ აუცილებლად ექნებათ ლაპარაკი კოკოვცევს და იაპონიის წარმომადგენელს. „Temps“-ი ურჩევს რუსეთს თავი მიანებოს ძველ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზას და ახალი გაიყვანოს, შეაერთოს ამური და ციციკარი. რუსეთს შეუძლიან გაიყვანოს მეორე გზა—ციციკარიდან აიგუნამდე. ვლადივოსტოკიდან დეპეშით ატყობინებენ რუსეთის გაზეთებს, რომ იაპონია აგრესიულ პოლიტიკას დაადგა. რუსეთს უფრო ფართო მოთხოვნილება წარუდგინა, ვიდრე მოელოდნენ. მოელიან გრაფ ვიტეს ჩამოსვლასაო. საზოგადოთ შორეული აღმოსავლეთი კვლავ იწვევს საზოგადოების ყურადღებას, საქმეების მდგომარეობა ისეთია, რომ მომავალში შესაძლებელია დიდი ამბები მოხდეს.

ჩეხები ავსტრიაში.

სლავიანთა კავშირის საპარლამენტო კავშირმა გადასწყვიტა არავითარი დამოკიდებულება არ იქონიოს მინისტრ-პრეზიდენტ ბინერტთან. ახალგაზრდა-ჩეხების პარტიის კომიტეტმა დეპუტატ სკარდის წინადადებით ერთხმად დაადგინა, შეუდრეკად იბრძოლოს ენდლანდელ ავსტრიის მთავრობის წინააღმდეგ. ავსტრიის დღევანდელ მთავრობას არ შეუძლიან მოაწესრიგოს პოლიტიკური უფლებები სახელმწიფოში მცხოვრებ ერებისა. პოლონეთის სახალხო პარტიის წევრი სტაპინსკი პრაგაში აპირობს წასვლას ახალგაზრდა ჩეხების პარტიასთან მოსალაპარაკებლად საერთო მოქმედების გეგმის შესამუშავებლად. პოლონეთის წარმომადგენელს, სხვათა შორის, აზრად აქვს წინადადება მისცეს ჩეხებს ხელი აიღონ პარლამენტში ობსტრუქციების მოხდენაზე, პრაგაშივე მოხდება ყველა მიმართულების დეპუტატთა კონფერენცია. უნდა მოილაპარაკონ ჩეხების საერთო საქმეებზე. დეპუტატი მასტალკა იწვევს საზოგადოებას დინასტიის საწინააღმდეგო მოძრაობისაკენ, რადგანაც ენდლანდელმა მეფემ და მთავრობამ აშკარა გამოილაშქრა ჩეხების წინააღმდეგაო.

მინისტრ პრეზიდენტს ბინერტს უთქვამს სლავიანთა პარტიების თათბირზე, დიდი სიამოვნებით გადავდგები, თუ კი დამარწმუნებთ, რომ ჩემს მოადგილეს ობსტრუქციები არ გაუმართავთო.

ავსტრიის საწინააღმდეგო მოძრაობამ ჯარშიაც იჩინა თავი. ახლად ჯარში გაწვეულნი უარს აცხადებენ მეფის ერთგულობაზე ფიცი მიიღონ. ქალაქ იოსეფშტატში საქმე იქამდის მივიდა, რომ ახლად ჯარში გაწვეულმა არტილერისტმა არაფრის გულისათვის ფიცი არ მიიღო, ოფიცრებმა აუხსნეს, რომ ის სამართალში იქნება მიცემული, მაგრამ ჩეხი მაინც ვერ გასტეხეს, ის მაგრად იდგა თავის გადაწყვეტილებაზე. შემდეგ იძულებულნი შეიქმნენ ჩეხი დაეპატიმრებინათ. გაჩხრეკის დროს ამას დიდ ძალი პროკლამაციები აღმოაჩნდა. პროკლამაციები მოწოდება იყო ჯარისკაც-სლავიანთა მიმართ, მოუწოდებდნენ სლავიანებს უარი ეთქვათ ფიცის მიღებაზე და მეფის ერთგულობაზე.

პასუხად „ფოთელ ბზიკს“

(წერილი რედაქციის მიმართ)

უსირცხვილოს თუ არ არცხვენ,
ბამით მორცხვიც გაურცხვდების.

დ. გურამიშვილი.

„მომავლის“ ორმოც-და-მესამე ნომერში მოთავსებულია წერილი „ფოთელის ბზიკისა“. ამ წერილში ზოგი რამ წინ და წინვე არჩეებულის აზრით, მეტად ცალ-მხრივად, მეტად არევდარევითა და უკუღმართად არის მოხსენებული, ასე რომ მკითხველ საზოგადოებას საფუძველი ეძლევა იფიქროს, თითქო ჩვენ ფოთის განმანათლებელ საზოგადოების გამგეობის წევრთა არჩევნების დროს არა მკითხეობა გავსწიეთ, თავზედობა ჩავიდინეთ, რადგან გავკადნიერდით და ყუთის დადგმაზე თანხმობა გამოვაცხადეთ მაშინ, როცა ჩვენზე უფრო კეთილგონიერებმა, ჩვენთან ერთად კანდიდატად დასახლებულებმა უარი სთქვეს: „წამოჭიმეს ხუთი ყუთი თავის კენჭებითაო“—ბრძანებს ფოთელი ბზიკი. ხუთი კანდიდატისთვის უნდა ეყარათ კენჭი და ხუთი ყუთი დასდგეს. აქ რა არის ან გასაკვირველი, ან აღსაშფოთებელი? ან ამ „წამოჭიმეს“ რა ადგილი აქვს ამ შემთხვევაში? ყუთები მაგიდაზე დასდგეს—ეს რა ცოდვა და დანაშაულია? მაშ იატაკზე დაედგათ? მერე კიდევ „წამოჭიმული“ ყუთი და მით უფრო კენჭები ვის გაუგონია? აქ წამოჭიმულიცა, გაჭიმულიცა და გაზვიადებულიც, თუ მართალს გვათქმევინებთ, ფოთელი ბზიკის კუდაბზიკური მსჯელობაა. მისი აზრით, ალბად, ყუთი სულ არ უნდა დაედგათ და ერთხმად უნდა აერჩიათ იმ „ერთი ჯგუფის“ მიერ დასახელებული სამი კანდიდატი ან არა და მარტო სამი ყუთი უნდა დაედგათ და არა ხუთი. მაშინ ყუთებიცა და კენჭებიც გადარჩებოდა ფოთელ ბზიკი მიერ „წამოჭიმულ“ რისხვას და ყველაფერი რიგსა და წესზე იქნებოდა.

გარდა ამისა ფოთელი ბზიკი ლოღიკასა და ანგარიშშიაც კაი ზორბად კუდაბზიკობს. ის ამბობს: „სულ ჩაეწერნენ 86 კაცი, ამათ შორის 60-ზე მეტი მუშები თუ მათი თანამგრძნობი ინტელიგენტები იყვნენო“. კარგი და პატიოსანი! გამოდის, რომ 86 წევრთაგან 60 გარდა, ე. ი. დაახლოვებით 26 წევრი, არა მუშა და მუშათა არა თანამგრძნობი ვიგინდარა ყოფილა. განმანათლებელ საზოგადოების უპირველესი მიზანი კი ის არის, რომ მუშათა შორის და საზოგადოდ მდაბიო ხალხში ცოდნა და მეცნიერება გაავრცელოს, განათლების შუქი მოჰფინოს. და განა საფიქრებელია, მუშათა არა თანამგრძნობი, მუშათა მტერი ასეთ საზოგადოებაში წევრად ჩაეწეროს და მერე კიდევ ასეთმა წევრმა საწევრო ფული გაიმეტოს?! დალოცვილი რაღა მიკიბ-მოკიბვით ლაპარაკობს, ბარემ პირდაპირ ეთქვა: 86 წევრიდან, 60 გარდა, სულ მუშების მოწინააღმდეგე, გიჟი და დამთხვეული რეაქციონერები ჩაეწერნენ წევრებადაო. თუ არ გიჟი და დამთხვეული, მაშ რომელი ჰქვათა მყოფელი გაიღებს ფულს მტრის სასარგებლოდ? ეს კიდევ რა: ბარემ ისიც პირდაპირ და გაბედულად უნდა ეთქვა, რომ ამ გიჟების, ამ დამთხვეულების და მუშათა მტრების მიერ დასახელებულ კანდიდატთაგან „მარტო ორმა მ. ბასილიამ და მღვ. ლ. წულაძემ განაცხადეს თანხმობა კენჭის ყრაზე“-ო. ვითომ რა ენაღვლებოდა! როცა კაცი ჰკუას ძალს დაატანს, როცა წამოჭიმულად და გაჭიმულად დაიწყებს მსჯელობას, უარესიც შეიძლება წამოროშოს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: **„ენა უკლიტოდ მორბედი ჭირია ულხინებელიო“.**

ფოთელ ბზიკს რომ „უკლიტოდ მორბედი ენა“ არა ჰქონდეს და „გაჭიმულად“ არ აზროვნობდეს, თავის წერილში არც ჯგუფს დაასახელებდა და არც ბანაკს, რადგან კენჭის ყრის შედეგმა ცხადად დაამტკიცა, რომ კრების უმეტესობა ჯგუფობანობით და კინკლაობით არ იყო გამსჭვალული. ჩვენ (ფოთელი ბზიკის აზრით, რეაქციონერების და მუშათა მტრების კანდიდატებმა) გადამწყვეტ რაოდენობაზე გაცილებით მეტი თეთრი კენჭი მივიღეთ. ფოთელი ბზიკის უცნაური ანგარიშით კი უნდა მივეღო 26 კენჭზე ნაკლები თეთრი და 60 მეტი შავი 86 კენჭში გადამწყვეტი რაოდენობა 44-ია. ვსთქვათ, რომ მარტო ეს 44 თეთრი კენჭი მიგვიღია და მეტი არა. 26 და 44 შუა 18 განსხვავებაა და ეს თვრამეტი კენჭი სადაური უნდა იყოს? იმავე კრებაზე თერთმეტ ისეთ მუშას მისცეს ხმის უფლება, რომელთაც საწევრო ფული არა ჰქონდათ გადახდილი. კეთილსინდისიერება და, თუ გნებავთ, კეთილ გონიერებაც მოითხოვდა, რომ ეს ამბავი აღენიშნა კორესპონდენტს. ალბად, მეხსიერებამ უღალატა. ცხადია, კრება რომ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ჯგუფად ყოფილიყო გაყოფილი, ერთ-ერთი ჯგუფი ნისია წევრთა არჩევნებში მონაწილეობის უკანონობაზე ხმას ამოიღებდა, რადგან ვინ არ იცის, რომ არჩევნებში თერთმეტს კი არა, ერთ კენჭსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

დასასრულ, მიუდგომელ მოამბეს აღუნიშნავად არ უნდა დაეტოვებინა ის გარემოებაც, რომ ერთმა ჩვენგანმა ლ. წულაძემ, როცა კამათი ასტყდა იმის გამო, ხუთივე კანდიდატი ჩაითვალოს არჩეულად თუ არაო, განაცხადა: „არჩეულია სამი კანდიდატი: პ. ურუშაძე, ვ. ღლონტი და გ. მარშანია. მ. ბასილია და მე გათეთრებულნი ვართ და არა არჩეულნი. ხოლო უკეთუ კრების სურვილია, რომ გამგეობაში ცხრა წევრის ნაცვლად თერთმეტი ჰყავდეს, მაშინ კანდიდატების დასახელებაცა და კენჭის ყრაც ხელახლა უნდა მოხდესო“. ამ აზრს მეორე ჩვენგანი მ. ბასილიაც მიემხრო. მაგრამ კრებამ დიდის ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, ცხრა წევრის ნაცვლად გამგეობაში თერთმეტ წევრი იყოსო და მასთან ხუთივე კანდიდატიც არჩეულად ჩაითვალოსო.

ჩვენც კრების გარდაწყვეტილებას დავემორჩილეთ, თავს ვიდეთ გამგეობის წევრობა და საქმეს შევუდექით. რა ვიცოდით, თუ ფოთელი ბზიკი ამის გამო ცუდ გუნებაზე დადგებოდა, აბზუკუნდებოდა და კბენას დაგვიწყებდა? რა გაეწყობა! აქაც ქედი უნდა მოვიხაროთ ჩვენი ხვედრის წინაშე და ყოველგვარი ბზიკისა და ბუზანკალის კბენას უნდა გაუძლოთ, რადგან გვრწამს და გვიყვარს ის საქმე, რომლის გაძღოლა და ხელმძღვანელობა სხვასთან ერთად საზოგადოებამ ჩვენც დაგვავალა. ვიდრე იგივე საზოგადოება არ გვეტყვის, აღარა ხართ საჭირონი და მიბრძანდითო, მანამ ფოთელი ბზიკის წარამარა ბზუკუნი ვერ შეგვაკრთობს და საქმეზე გულს ვერ აგვიცრუებს... ხოლო ბზიკი რომ ბზიკობას არ მოიშლის და არც მტერს დაინდობს და არც მოყვარეს, ეს ჩვენ ახლავე გვჯერა. მან იმავე წერილში აკი მუშებსაც უკბინა მაშინ, როდესაც ვითომდა მუშების ჰირისუფლად და მზრუნველად მოაქვს თავისი თავი. „მოგეხსენებათ, რა გამოცდილება სჭირია კენჭების ჩაგდებას, ამაში მუშები გამოუცდელნი არიან და კიდევაც შეეცდნენო“, ჰგონებს ფოთელი ბზიკი. მერე რა დიდი [illegible] კენჭის ჩაგდებას? [illegible] თუ შავი და თეთრი, მარჯვენა და მარცხენა [illegible] ჩვენი მუშებს? [illegible] ამის თქმა არც კი უნდოდა ფოთელ ბზიკს, მაგრამ „ენა უკლიტოდ მორბედი“ და ფრიად „გაჭიმული“ წარმოდგენა თავისთავზე არა თუ ადამიანს, ბზიკსაც თურმე დავთარს დაუბნევს.

მღ. ლავრენტი წულაძე, სტუდენტი მირიან ბასილია.

განცხადებანი

7 მან. და 25 კაპ.
ორი კასტიუმი
ქალისა და კაცისა

ორი ზამთრის ან გაზაფხულის საკასტიუმო ნაჭერი, კაცისა და ქალისა, ეგზავნება მსურველს ფოსტით 7 მან. 25 კაპეიკად. გაგზავნა უფასოა (ციმბირში ემატება 85 კ.). ვისაც არ მოეწონება, ფაბრიკა უკან უბრუნებს ფულს. ნაჭერი კაცის კასტიუმისთვის $4^1/_4$ არშ. ინგლისური ტრიკო, მკვიდრივ მატყლისა, ორარშინიანი განისა, ახალი ნახატით და 8 არშინიანი ტრიკო „არკადია“ მატყლისა, მოდის—ქალის ტანისამოსისათვის. ორივე ნაჭერი ყოველგვარ ფერისა. ფასდადებით გაგზავნის დროს ემატება 16 კ. (ფოსტის ტაქსა) ხურვილისამებრ იმავე ფასით შეიძლება გაიგზავნოს ორივე კასტიუმი კაცისა ან ქალისა. ადრესი Фабриканту М. Бернштейну, гор. Лодзь. И.

(Л. Метцль и К° N 67969) (3—6—2)

კირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულაძი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა-სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—$1^1/_2$ ს. შინაგან და საპავშვო.
ნ. ვ. ალბრეხტი: 12—$1^1/_4$ ს. შინ. და ბავშვ.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—$6^1/_2$ ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარცინევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(ნ.—1—205)

სენსაციონური ამბავი



200 მანეთად ღირებულ ოქროს საათის მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ საათი **„სეცესია“**, რომელიც ფასონით და მნდოთ არ ჩამოუვარდება ოქროსას. საათი ძალიან თხელია, ვერცხლის მანათიანის სითხისა, ამერიკულ ახალ ოქროსი, რომელიც თავის დღეში არა ჰკარგავს თავის პირვანდელ შნოს, ორიგინალურ დაჭედულ **ყვავილთა** სურათებით (იხ. სურათი) საათი **„სეცესია“** გამოირჩევა სწორი სიარულით და მხატვრულად გამნდიანებულობით; ღერძები ქვებზეა, იმართება 40 საათში ერთხელ. ფასი 3 მ. 75 კ., 2—7 მ.; ამასთანავე ქალისა 4 მან. 75 კ., **უფასოდ** ეძლევა ახალი ოქროს მშვენიერი ძეწკვი ბრელოკით და საათის შესანახად ზამშის ბუდე. საათი ეგზავნება გასინჯული, 6 წლის თავდებობით, ფას დადებით და უბეოდ. 2 ცალის გადაგზავნა 40 კაპ. (ციმბირში 75 კ.).
ადრესი: Т-ВО „АККУРАТНОСТЬ“, ВАРШАВА, ОТДѢЛ. 94.
ეს ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრა დააკრათ კონვერტზე.
(Метцль и К-о. N 64180). (1—6.—1)

სამანუფაქტურო ვაჭრობა
ივ. გრ. კაჭკაჭოვისა

20 ოქტომბრიდან გაიხსნა ვაჭრობა ახალ შენობაში სოლოლაკის ქუჩაზე, „პროვოდნიკის ამხ.-ბის“ გვერდით, აზოვ-დონის ბანკის ქვეშ (ამირაღოვისეულ მაღაზიაში). თამამშევის ქარვასლიდან ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ საქონელი განახლდა. მიღებულ იქმნა მრავალი სასეზონო საქონელი. აბრეშუმის, მატყლის, მაუდის, ბამბის და ფორმის მატერიები ყველა სასწავლებლისათვის. მაუდი საუკეთესო თვისების მოსწავლეთათვის და სხვა და სხვა პლედები.

—◀ მ რ ა ვ ლ ა დ ა რ ი ს: ▶—

მაუდის მოსახვევები, საბნები პლიუშისა, ბაიკისა, პიკეისა, ატლასისა და ქიშმირისა.

ტილოს საქონელი და სუფრეული

საუკეთესო ფაბრიკისა, გარდინის ტიული, ბლიუშის სუფრები, ხავერდი, პლიუში და მანჩესტერი. აუარებელი ფერადი. სატინი, ბატისტი, ბამბაზეა, ნუვოტე და ჩითი.
საწყობი ბამბის ქსოვილებისა, თეთრი და ფერადი საცვლებისთვის და ბალიშის პირები ცნობილ ფირმებისა.

იმედი მაქვს, რომ ჩემი საქონელი ყოველ კონკურენციის გარეშე იქნება

ფასები შეუვაჭრებლად

შაბათობით გაიყიდება ნაჭრები. (5—6.—3)